ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №49650

ნომერი: AR123398

თარიღი : 14.02.2012

გაცემის თარიღი : 15.02.2012

გაცნობის თარიღი : 06.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაქტერიოფაგის ღობესა, და საპროექტო გზას შორის ;
ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე "ჰანვა ჯორჯია"-ს ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ.;
ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე "ჰანვა ჯორჯია"-ს ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მასხულია პ/ნ 01015003627
- თბილისი მტკვრის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

მიწის ნაკვეთი #01.10.13.016.008 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1), რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილება ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა). აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა: ა) განათების; ბ) სარწყავი სისტემის; გ) სარეკლამო ბილბორდის; დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის.
ხოლო #01.10.13.016.032 მიწის ნაკვეთი ამავე გეგმის მიხედვით მოქცეულია ორ ფუნქციურ ზონაში (იხ. დანართი): სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.7;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) -4.6;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;
გამომდინარე იქედან, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე მოქმედი საზოგადოებრივ-სქმიანი ზონის ნაწილი არის ძალიან მცირე, მასზე სრულყოფილი შენობის განთავსება ვერ განხორციელდება, შესაბამისად საპროექტო ტერიტორიის განვითარება უნდა განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო ზონა 1-ისთვის დადგენილი ჩამონათვალის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.